F-131
1920

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვაზი და ღვინო“

წელიწადი პირველი.

№ 6 1 მაისი 1920 წ. № 6

34
1-584

შინაარსი:

1. ვ. ი. რცხილაძე. ნეკროლოგი . . . . .) ი. ანდრონიკაშვილი.
2. მოწინავე . . . . .)
3. ღვინის წარმოშობა . . . . . მიხ. შალამბერიძე.
4. ჩვენი ღვინოები და მისი ბაზარი . . . გ. წინამძღვრიშვილი.
5. მეღვინეთა ყრილობები კახეთში . . . გ. წ.
6. საბჭოს მოქმედება . . . . . .
7. „ვაზი და ღვინო“-ს მკითხველს . . . .

ჟურნალის გამოცემის პირობები:

ჟურნალი ჯერჯერობით გამოვა ორ კვირაში ერთხელ, არა ნაკლებ 16 გვერდისა. თითო ნომრის ფასი საბჭოს მიერ განსაზღვრულია — 10 მან. ამ ფასით ჟურნალის გამოწერა შეიძლება **სამი თვით.**

ჟურნალის რედაქცია იმეორეებს საბჭოს ბინაზედ — თბილისი, ბარიატინსკის ქუჩა, № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ
ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ

„ᲙᲐᲮᲔᲚ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ
ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗ-ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ“

Кахетинское Кооперативное Вино
„СОЮЗЪ СОЮЗОВЪ“
Виноградарей Кахетии.

ТИФЛИСЪ
ГОЛОВИНСК. ПР. №33 Д. ТАМАМШЕВА, ТЕЛЕФ №
КАХЕТІЯ: СТ. МУКУЗАНЪ, КАХ. ЖЕЛ. ДОР.

თ ბ ი ლ ი ს ი. რუსთაველის ქუჩა № 33
კახეთი, სადგური „მუკუზანი“, კახეთის რკინის გზა.

„კავშირთ-კავშირი“ დაარსებულია 918 წელს. წესდება დამტკიცებულია თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 8 თებერვალს 1919 წელს.

„კავშირთ-კავშირში“ შედიან ველისციხის, ვურჯაანის და კარდანახის შემნახველ ვამსესხებელი ამხანაგობანი — 4400 წევრით, რომელთაც 4200 დესეტინა ვენახი აქვთ.

„კავშირთ-კავშირის“ ვამკეთობა, მთავარი კონტორა და საწყობი მოთავსებულია საკუთარ ბინაზედ კახეთის რკინის გზის სადგურ მუკუზანთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

† ვ. ი. რცხილაძე.

შაბათს, 17-ს აპრილს, ქ. თბილისში, თავის ბინაზედ, მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს მეღვინე-მევენახეთა საბჭოს წევრი **ვასილ ილიას-ძე რცხილაძე**. საბჭო დიდს მწუხარებას განიცდის თავის მხნე და დაკვირვებულ წევრის უდროოთ დაკარგვით. გარდაცვალებული ჩვენს ცხოვრებაში წარმოადგენდა იმისთანა იშვიათს და ძვირფასს პიროვნებას, რომლის მოღვაწეობა და მისწრაფება სავსებით და მუდმივ სამშობლოს სამსახურში გამოიხატებოდა. დაუღალავმა და იდეურმა მუშაკმა, ვ. ი. რცხილაძემ, მთელი თავისი სიცოცხლე, ცოდნა და გამოცდილება ქართველი ერის მრავალ გვარ მოთხოვნილების სამსახურს მოახმარა და, თუ საზოგადოთ კაცობრიობის ბუნებრივი თვისება უმთავრესად ეგოისტურ მიმართულებაში გამოიხატება, ვ. ი. რცხილაძე ამ შემთხვევაში წარმოადგენდა არა ჩვეულებრივ პიროვნებას. დღე და ღამ მუშაკი სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებაში, მას არ ჰქონდა დრო პირადათ თავის კერძო ინტერესების სამსახურისათვის. სულით და გულით მოსიყვარულე თავის სამშობლოსი და ერისა, ის იყო ერთგული იდეური შვილი საქართველოსი. და თუ ეს თვისებები ახასიათებდენ მის მოღვაწეობას მაშინ, როდესაც საქართველო შეადგენდა რუსეთის განაპირა ნაწილს, შემდეგ როდესაც საქართველომ მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ვ. ი. რცხილაძე, გაბედნიერებული ამ აქტით გაორკეცებული მხნეობით მიუძღოდა ყველა საზოგადო საქმეს.

საკმარისია გავითვალისწინოთ მოკლედ მისი ბიოგრაფი, რომ მწვავე მწუხარებით მივიღოთ ამ ერგულის და სასარგებლო მამული შვილის დაკარგვის ამბავი.

ვ. ი. რცხილაძემ დაამთავრა თბილისის მასწავლებელთა ინსტიტუტი და შემდეგ ორი წელიწადი განაგრძო სწავლა შვეიცარიაში. საზღვარ გარეთიდან დაბრუნების შემდეგ, იგი იყო დანიშნული ჯერ მასწავლებლად და შემდეგ ინსპექტორათ ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში, სადაც ქართულს განყოფილებაში ქართულს ენაზედ კითხულობდა ბუნების მეტყველებას. მან სთარგმნა ქართულ ენაზედ როსკოს ქიმიის სახელმძღვანელო და შეადგინა წიგნი: „მცენარენი და ცხოველნი“. *) შემდეგ როდესაც დაარსდა კახეთის მევენახეთა ამხანაგობა, ვ. ი. რცხილაძე იყო ამორჩეული გამგეობის წევრად და მან დაანება თავი სახელოსნო სასწავლებელს. ამხანაგობა „კახეთი-“ს წევრად ვ. ი. რცხილაძე იყო რამდენიმე წელიწადი. ქართული სამეურნეო საზოგადოების დაარსებასთანავე იგი იყო არჩეული ამ საზოგადოების გამგეობის წევრად და აგრეთვე მდივნად.

მოძრაობის ხანაში, 1906 წელს, მან შეადგინა სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება, იგი იყო პირველი ამ საზოგადოების თავმჯდომარე და ხელმძღვანელი.

შემდეგში, როდესაც რუსის მთავრობის მიერ სხვათა შორის ჩვენშიც იყო დაარსებული მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტები, ვ. ი. რცხილაძე იყო დანიშნული თბილისის კომიტეტის საბჭოს წევრად და შემდეგ მდივნად და ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა გარდაცვალე-

*) მრავალი წერილები აქვს აგრეთვე დაბეჭდილი პსევდონიმით როგორც ცალკე ბროშიურებად, აგრეთვე სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამდის. ამავე ხანში იგი იყო ამორჩეული კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრად და, როდესაც ამ საზოგადოების თავმჯდომარე (პრეზიდენტი) ბ-ნი მ. სუმბათაშვილი 1918 წ. გაემგზავრა საზღვარ გარეთ,—რცხილაძეს დაეკისრა ამ საზოგადოების თავმჯდომარეობა, რომელ თანამდებობასაც ის უკანასკნელ დღეებამდე აღსრულებდა.

რამდენიმე წლის წინად ვ. ი. რცხილაძემ ქართულ ენაზედ გამოსცა ზოგიერთ ბუნების მოვლენების აღწერის წიგნი, რომელიც მოწონებულ იყო ბ-ნ გომართელის მიერ ბიბლიოგრაფიულს აღწერაში.

ვ. ი. რცხილაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე 1905 წელში შედგენილი მოხსენება საქართველოს ავტონომიის შესახებ. მანვე იკისრა ქართული სამეურნეო ჟურნალის „მეურნეს“ გამოცემა, რომელიც გამოდიოდა მის რედაქტორობით 1914 წლამდის. *)

ვ. ი. რცხილაძე იღებდა მონაწილეობას მრავალს სხვადასხვა ქართულ საქველმოქმედო და საზოგადო დაწესე²ულებებში და წარსულს შემოდგომაზედ საქართველოს მეღვინე—მევენახეთა კონგრესის მიერ არჩეულ იყო საქართველოს მეღვინე-მევენახეთა საბჭოს წევრად. მოკლე ხანში ვ. ი. რცხილაძემ აქაც გამოიჩინა ბუნებრივი თავისი ენერგია და მხურვალე მონაწილეობას იღებდა საბჭოს ჟურნალის გამოცემაში. საბჭოს დადგენილებით იგი იყო არჩეული წევრად ბატონ პროფესორ მელიქიშვილის ხელმძღვანელობით დანიშნულ კომისიისა, რომელსაც საბჭოს მიერ დავალებული აქვს ღვინის კანონის პროექტის შემუშავება. სამწუხაროდ ამ კომისიას უდროოთ მოაკლდა ფრიად სასარგებლო წევრი. ბ-ნ ვ. ი. რცხილაძე იყო მდივანი იმ კომისიისა, რომელიც იყო არჩეული კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ და რომელმაც დაწვრილებით განიხილა და შეიმუშავა რუსეთის მთავრობის მიერ შედგენილი კანონპროექტი.

ეს ვ. ი. რცხილაძის მოღვაწეობის მოკლე აღწერა ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი ენერგიის და სამშობლოს მოსიყვარულე პიროვნება და ერთგული მამულიშვილი უდროოთ მოჰშორდა ამ წუთისოფელს. არ შეგვიძლიან არ გამოვსთქვათ ჩვენი ღრმა მწუხარება ძვირფას საქართველოს შვილის დაკარგვის შესახებ. ეს მწუხარება მით უფრო ჩვენთვის მწვავეა, რომ მას მიუძღვის დიადი მუშაობა სამშობლოსადმი და წვრილშვილი სახლობა კი დარჩა მას თითქმის სრულიად უსახსროდ. ვიმედოვნებთ, რომ ამ გარემოებას ჩვენი ქართველი საზოგადოება სათანადო ყურადღებას მიაქცევს.

ი. ანდრონიკაშვილი.

თბილისი 1 მაისი. 1920 წ.

რ-ვოლიუცია დამთავრდა ყველა მოქალაქესთან ერთად ჩვენი მთავრობაც და დამფთძნებელი კრებაც აღიარებენ, რომ სახელმწიფოს, მოწესრიგების, და მის ეკონომიური გამაგრების და გაძლლიერების ხანა დადგა. ეკონომიური საკითხები ამ ჟამად შეადგენენ უმთავრესს საფუძველს საქართველოს დამოუკიდებლობისას.

ჩვენი საფინანსო უწყება სავსეებია

*) მის თაოსნობით იყო დაარსებული ს. სააგრეჯოში საფეიქრო სასწავლებელი და ივივე დროებით ხელმძღვანელობდა საშინაო მრეწველობის კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაესწრაფება ბიუჯეტის მოწესრიგება და ჩვენი ქალალდის ფულის ღირებულების გამაგრებას; მაგრამ, სამწუხაროდ, დღითი დღე ჩვენი ფულის ფასი ეცემა, ცხოვრება ძვირდება და ამასთანავე ჩვენს ვაჭრობა—მრეწველობა, არამც თუ არა ვითარი გაუმჯობესობის ნიშნები არ ეტყობა, პირიქით ვაჭრობაც და მრეწველობას წარმოებაც თანდათან მხელდება.

ამ მოვლენის მიზეზი, რასაკვირველია მრავალგვარი და რთულია, მაგრამ მოხსენებული ფაქტი აშკარად უნდა გვარწმუნებდეს, რომ სახელმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკაში რაღაც არსებითი ნაკლია. ჩვენ არ ვისახამთ მიზნად ამ საკითხის გამოკვლევას.

ამ ჟამად ჩვენი გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ რაც უფრო მწვავეა სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა, მით მეტი დაკვირვება და სიფრთხილეა საჭირო ყოველ სახელმწიფოებრივ ეკონომიურ ზომის მიღების და ცხოვრებაშიგა ტარების დროს.

ჩვენი საფინანსო უწყება-კი სამწუხაროდ სწორეთ უკულმა გზას ადგია. სიჩქარე ყველა საქმეში კარგია, მაგრამ იმდენად, რომ საქმეს აჩქარების და დაუფიქრებელობის მავნე შედეგები არ მოჰყვეს.

განსაკუთრებული ძნელი სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა, რასაკვირველია, მოითხოვს განსაკუთრებულს, არა ჩვეულებრივს ზომებს. მაგრამ, თუ მიღებული ეკონომიური კანონი ანუ განკარგულება ავნებს თვით იმ წარმოებას, რომელიც შეადგენს წყაროს ამ კანონით ანუ განკარგულებით მიღებულ ზომისას—(სახელმწიფოს შემოსავლისას), - შეუძლებელია ამისთანა კანონის ანუ განკარგულების რაიმე სასარგებლო შედეგი-�ს, რომ არ წავიდეთ, ავიღოთ მაგალითად ამ დღეებში დამფუძნებელ კრების მიერ დადასტურებული საფინანსო უწყების კანონპროეკტი ღვინოზედ აქციზის გადიდების შესახებ.

ახალ კანონის ძალით ღვინოზედ არის მიღებული სააქციზო გადასახადი 20% მისი ღირებულებისა, რომლის განსაზღვრა კანონით ევალება ფინანსთა მინისტრის და, რადგან ფინანსთა სამინისტროში სავაჭრო პალატის დახმარებით ღვინის საშუალო ფასი მიღებულია ჯერ-ჯერობით ბოთლზედ 25 მან., სააქციზო გადასახადით ბოთლზედ დაწესებულია 5 მანეთი. ჩვენ თავის დროზედ აღვნიშნეთ 20%-ან ნორმის მიღების სიდიდე სასუფრო ღვინისათვის. მეღვინე-მევენახეთა საბჭომ ამ საკითხის გამო თავის დროზედ მიჰმართა კიდევაც მიწათმოქმედების მინისტრს, რომელმაც აღუთქვა საბჭოს წარმომადგენელთ ზომების მიღება, რომ ღვინოზედ არ იყოს გადაჭარბებული აქციზი მიღებული. მაგრამ საკითხ მაინც გადაწყვეტილია მეღვინე-მევენახეთა საბჭოს წარმომადგენელთა თანადაუსწრებლად, და სააქციზო გადასახადი ბოთლზედ უკვე მიღებულია ხუთი მანეთი, ანუ ვედროზედ 80 მან. ყველა ვინც-კი ცოტაოდენ მაინც ცნობილია ჩვენში ღვინის ვაჭრობის პირობებს ადვილათ გაითვალისწინებს, თუ რა შედეგიც მოჰყვება ამ დიდს სააქციზო გადასახადს. სხვა ფალსიფიკაციას რომ თავი დავანებოთ, მარტო წყლის დამატება რა შემოსავალს უქადის ჩვენს სირაჯებს: მარტო ერთი-ორი ვედრო წყლის გასაღება პატარა ვაჭარს საყურადღებო შემოსავალს აძლევს და ყოველ შემთხვევაში რა დაუდგება წინ, რომელი სირაჯი აუ-

ზვევს ამ თვალსაჩინო გზას? თუ უაქციზოთაც ღვინის სიძვირემ შემჩნევით შეამცირა ჩვენი ღვინოების ბაზარზედ გასავალი, 20%-ით მათი ღირებულების აწევა ხომ უარესად დაამხობს ამ ვაჭრობას. ვინც-კი დაკვირვებულია ან და ვისაც-კი ჰსურს, რომ იცოდეს, ადვილად დარწმუნდება თუ რა მოვლენის მოწმენი ვართ ღვინის გაძვირების გამო. ეს მოვლენა გახლავთ ის. რომ არყით ვაჭრობა თანდათან მატულობს და ამცირებს ღვინის ვაჭრობას. მომეტებული ნაწილი იძულებულია ღვინო უარჰყოს და არაყის სმაზედ გადავიდეს,—ღვინისათვის მას არა აქვს საჭირო სახსარი, არაყი-კი თხოულობს ნაკლებ ფასს და აძლევს მას თუ არ სიამოვნებს, იმისთანავე შედეგს, როგორც ღვინო. ამ მდგომარეობაშია ნამეტნავად ღარიბი მუშა ხალხი, რომელთაც საქმის გარემოება უნებლიედ აჩვევს მათ მავნე თვისებას: არაყის სმას ღვინის მაგიერ. ამის შედეგები ხომ განუსაზღვრელია როგორც თვით მსმელთათვის აგრეთვე ჩვენ მევენახეობისათვის, რომელიც უამისოდაც განიცდის კრიზისს და ყოველმხრივ დახმარებას და ყურადღებას თხოულობს მთავრობისაგან. ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ აღვიშნოთ ზემოხსენებული ფაქტები და ხელმეორეთ მივაქციოთ მათზედ ყურადღება მიწათ-მოქმედების სამინისტროსი, რომელსაც ევალება სამშობლო მეურნეობის ინტერესების დაცვა.

დრო არის, რომ სათანადო ყურადღებით მოვექცეთ საზოგადოთ ჩვენს სასოფლო მეურნეობას და კერძოთ მევენახეობის განვითარებას.

ი. ანდრონიკაშვილი

ღვინის წარმოშობა

მციის დასაბამი, ანუ საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან და როგორა ჩნდება ტკბილში დულილის გამომწვევი ღვინის დედა. ამის შესახებ პირველად ყველაზე დაწვრილებითი ცნობები მოგვცა დანიელ მეცნიერის ჰანზენის გამოკვლევამ. აღმოჩნდა რომ, ეს თვალთათვის უჩინარი სოკო-მცია გაჩნდება ხოლმე ყურძენზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ყურძნის მარცვალი მწიფდება. (უადგილო არ იქნება ვგონებ, მოვიგონოთ, რომ თუ ჩვენ სხვადასხვა დამწიფებული ხილი დავჭყლიტეთ და დავწურეთ, მათი წვენიც ჩქარა დულილს დაიწყებს და მეტად თუ ნაკლებად მათრობელ სასმელს მოგვცემს.—ამ შემთხვევაშიაც იმავე მოვლენასთანა გვაქვს საქმე როგორც ყურძენთან). მაგრამ გაჩნდება ხოლმე ეს მცია მარცვლის ხორცში—ტკბილში კი არა, არამედ კანზე. ამისი დამტკიცება ადვილად შეიძლება: თუ ჩვენ როგორმე ფრთხილად ამოვიღებთ მარცვლის გულიდან ტკბილს ისე, რომ კანიდან არაფერი ჩაჰყვეს რა ამ ტკბილს ამისთანა ტკბილი არ ადულდება. მეორეს მხრივ, თუ ჩვენ გავრეცხეთ ყურძენი და ეს ნარეცხი წყალი ჩავუმატეთ წინანდელს ტკბილს, დავინახავთ, რომ დულილი ჩქარა დაიწყება. როცა მციას მარცვალზე წვიმა მოუსწრობს, ან თუ თვით მარცვალი ჩამოვარდა მიწაზე, მაშინ, ცხადია, მციაც დაბლა მიწაწე ჩამოჰყვება: მაგრამ როცა მიწა გაშრება და ამტვერდება, ჰაერის მოძრაობა ისევ მაღლა აიტაცებს მციას და მოსდებს მცენარეულობის სხვა დასხვა ალაგს. თუ ის სადმე ტკბილს წვენს, საზრდოს შეხვდა, მაშინ რასაკვირველია დაიწყებს გამრავლებას, თუ არა და დროს განმავლობაში გახმება და მოკვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურძნის ჯანსაღი მარცვალი, ჩვენ ვიცით, გადაკრულია ცვილანივთიერებით, რომელიც ინახავს მარცვლის ხორცს (ტკბილს) როგორც წვიმის წყლით გამორეცხისაგან (წყალი მარცვლის კანს არ ეკარება), აგრედვე მრავალ სხვა მაზიანებელთაგან. ასეროგორ, მარტო ნიავის მოძრაობამ იქნება რამე სამსახური ვერც კი გაუწიოს მცის გამრავლების საქმეს. მაგრამ, როცა ყურძენი (და საზოგადოდ ხილი) მწიფდება, მას ეტანება აგრედვე მრავალნაირი მწერი და ჭია-ღუა: ბუზი, კრაზანა, და აი ესენი როცა ჰკბენენ მარცვალს, კანს უზიანებენ, წვენისკენ შესავალ კარებს აჩენენ და თვით წვენიც ამოდის ხოლმე კანზე. ხშირად სხვადასხვა მიზეზით მარცვალს კანი სულ მთლადაც უსკდება. რადგან თვით ამ მწერებსაც თავიანთ ფეხებით თუ ფრთებით, და საზ. მთელი ტანით, აგრედვე ბლომად გაადააქვთ ეს უხილავი მცია სოკოები ერთ ადგილიდან, ერთ მტევნიდან მეორეზე, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ ეხმარებიან ისინი ამ სოკოების გავრცელების საქმეს. მაგრამ როგორც პირველად იყო მოხსენებული უმთავრესი გამავრცელებელი მციაისოკოებისა ეს ქარია, რომელიც ერთის დაბერვით ვინ იცის რომელ მხრიდან სად არ წაიღებს და გააბნევს ამ სოკოებს. ზამთარს ეს მცია-სოკოები ატარებენ ფოდამიწაში და ყურძნის დამწიფების დროს ისინი აქედან ქარის მოქმედებით მოედებიან ხოლმე მარცვლებს—მიწაში კი ჩადის მცია, როგორც უკვე ვთქვით, წვიმის მიერ მარცვლების ჩარეცხით და აგრედვე ამა თუ იმ მიზეზით თვით მარცვლების ჩამოცვივნით. დუღილის დედის, მციის სიდიდის შესახებ რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, უნდა ავიღოთ 100—200 იმ ზომამდე პატარა ბაქტერია (მოყვანილობა მციას დაახლოვებით კვერცხისა აქვს,) რომ ყველა ესენი ერთ ხაზზე დაწყობილნი ერთ ფრჩხილის სისქის მეტს მანძილ ადგილს არ დაიკავებდენ. ეს მათი სიმცირეა იმისი ამხსნელი, რომ ხშირად ერთს მწიფე ჯანსაღ მარცვალზე შეიძლება 100—200 ათასამდე მცია მოიძებნებოდეს და, თუ მწიფე მარცვალი დამსკდარია, მაშინ ამ მციათა რაოდენობამ შეიძლება 10 მილიონსაც გადააჭარბოს. საზოგადოდ კი შემჩნეულია, რომ დაბლა მიწასთან მობმულ მტევნებზე უფრო მეტი მცია მოიპოვება, ვიდრე მიწიდან უფრო დაშორებულზე.

ეხლა თავის თავად ცხადი ხდება, რომ ყურძნის დაწურვის დროს დაჭყლეტილ მარცვლიდან გამონადენი წვენი ჩარეცხამს კანზე (და კლერტებზეც) არსებულ მციათა აუარებელ რაოდენობას და თან ჩაიტანს მათ სადღარ ჭურჭელში (ქვევრი ან სხვ.). თუ ჭაჭასაც თან ჩაატანენ, მაშინ ხომ აუხსნელადაც ცხადი ხდება ტკბილში მციის გაჩენის მიზეზი.

როგორ ჩნდება ტკბილში ძალარი (სპირტი.) მციის აღმოჩენის შემდეგ ჯერ კიდევ დიდხანს რჩებოდა საკითხი გადაუწყვეტელი, თუ რათ ან როგორ აჩენს ეს მცია-სოკო შაქრიდან ძალარს (**სპირტს** ანუ ალკოჰოლს) რავდენიმე ერთმანეთის მოპირდაპირე აზრი ბატონობდა ამ საკითხში, სანამ ისინი ერთად არ შეერთდნენ ერთი მეორის დასამატებლად და შესავსებად. (ამ საკითხის გამოკვლევას მრავალ მეცნიერის შრომა დასჭირდა და ყველა მათ ჩამოთვლას რომ შევუდგებოდეთ ნამეტანი გაგვიგრძელდება საწერი). ეს შეერთებული საბოლოვო აზრი შემდეგია: **მცია,** როგორც ყველა სხვა არსება იბრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვის არსებობისათვის. როგორც უკვე ვთქვით, შემოდგომიდან დაწყებული მცია თითქმის მთელს წელიწადს მიწაში ატარებს დროს. ამ დრო განმავლობაში მისი კვების საქმე ძალიან უნუგეშო, შეუწყობელ მდგომარეობაში იმყოფება. საკვებავ მასალის უქონლობის გამო დასუსტებულ მციას მხოლოდ ზაფხულის გასულს და შემოდგომის დასაწყისში ეძლევა საშუალება მწიფე ხილზე მოხვდეს და მის წვენით ისაზრდოვოს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ერთად ერთი დროა, როდესაც მას შემთხვევა ეძლევა იმდენად მოღონიერდეს, რომ ჩამომავლობა გააჩინოს და გამრავლდეს რაც შეიძლება სწრაფად და მეტად. იმიტომ რომ, ეს ხომ ერთად ერთი შემთხვევაა მთელი წლის განმავლობაში, როდესაც მას ეძლევა შემთხვევა ჩამომავლობა გააჩინოს და თავისი ჯიში დაიცვას. მაგრამ ამისთანა მდგომარეობაში მხოლოდ ტკბილის დულილის გამომწვევი მცია კი არ არის. იმავ ხილის ტკბილს ეტანებიან მრავალი სხვა სოკოს ჯიშები, რომლებიც საკვებ მასალას ერთმანეთს ეცილებიან. აქ იწყება გაცხარებული ბრძოლა საზრდოსთვის და ჩვენი ღვინის მციაც სცდილობს ისეთი რამ მოახერხოს, რომ მოცილეს გამრავლება არ აცალოს და, თუ შეიძლება, სულაც მოსპოს. ასეთს თავდაცვის საშუალებად ღვინის მცია იყენებს ძალარს (სპირტს, ალკოჰოლს) და ნახშჟანგს CO_2, რომლებსაც ის მომწიფებულ ხილის (ყურძენი და სხვ.) შაქრიდან ამზადებს. საქმე ის არის, რომ მცია, ასე ვსთქვათ, იკვებება ულმთავრესად ყურძენში არსებულ ცილა—და მარილნივთობებით (სასუნთქველად ჰაერის ჟანგბადის გარდა ამ ნივთობთა ჟანგბადითაც სარგებლობს) და აჩენს ისეთს ნივთიერებას, (ღუას), *) რომელიც, მოხვდება თუ არა მწიფე მარცვლის წვენში არსებულს შაქარს, მაშინვე ჰშლის მას ძალარად (ალკოჰოლად, სპირტად) და ნახშჟანგად CO_2. ძალარი (და ნახშჟანგიც უმეტეს შემთხვევაში) წარმოადგენს ყველა ცოცხალ არსებისათვის შხამს და, მაშასადამე საცა ღვინის მცია მოთავსებულა სასაზდოოდ, ის იქ ძალარს აჩენს, უშხამავს მოცილე არსებებს საკვებ მასალას და ბურთი თუ მოედანი მხოლოდ მასა რჩერჩება. ასეთს გზას ადგია ღვინის მცია გარედ ბუნებაში. როდესაც ის ყურძნის დაწურვის დროს სადუღებელ ჭურჭელში ქვევრში, (მაგალიდად) მოჰყვება, ის ისევე იქცევა, როგორც მტევანის მარცვალზე და აჩენს ძალარს. მაგრამ მაშინ როროდესაც ჰაერზე ეს ძალარი ბლომად არ გროვდება და იკარგება აქეთ-იქით ჰაერში, ქვევრში ეს ძალარი თანდათან გროვდება და იმ ზომას აღწევს, რომ ღვინის მცია თავის მიერ გაჩენილ ძალარში თითონაც ველარა სძლებს და კვდება. რაოდენობა ძალარისა, რომელშიაც ღვინის მცია უკვე ველარა სძლებს, უდრის ასიდან 14,3 წონა-წილს. (თავის თავს რომ ყოფილიყო მცია მინებებული, რასაკვირველია, ბუნებაში ის თავის მკვლელობას არ ჩაიდენდა: მაგრამ რაკი ადამიანი ტკბილის დაგროვებით აყენებს მას ისეთს არა ჩვეულებრივ მდგომარეობაში, რომლისთვისაც ის მომზადებული არ არიი, ამისათვის ის იღუპება).

ღვინის მციასავითვე იქცევა მრავალი არსება და კერძოდ ძმრის მციაც. ეს თავის მხრით სცდილობს ისეთ შხამნივთიე-

*) რადგანაც გამოსაცხობად მოზელილ ცომში ამ გვარადვე გაჩენილი და მსგავსი ნივთიერება არის, რომელიც ცომს აღვივებს, ამიტომ ეწოდება მას „ღუა" enzym.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების გაჩენას, რომელიც დახოცავს სხვა ჯიშის მცია. და, მართლაც, გამოკვლევამ დაგვარწმუნა, რომ თუ ტკბილში 0,4 ასიდანი (პროცენტი) ძმრის ჭანგი მოიპოვება, ამისთანა ტკბილი ვერ დაიწყებს დულილს. თვით ის მოვლენა, რომ ჩვენ ღვინოებს მოტკბო გემო აქვს, რაოდენადმე იმის შედეგი არის, რომ რთველის დროს დამსკდარ მარცვლიან მტევნებს, რომლებზედაც მრავლად მოიპოვება ძმრის მცის ჯიში, პირდმპირ ურევენ საღ მტევნებს და ერთადა სწურავენ. ასე რომ, ტკბილში ორი ჯიშის მცია თავისუფლად მრავლდება, სანამ ღვინის დედა არ აჯობებს ძმრისას. და როდესაც ამ ჯიშის მცია ბევრი ურევია, ის იმდენ ძმრის ჭანგის გაჩენას ასწრობს, რომ ღვინის მცია ველარ ახერხებს ტკბილში არსებულ შაქრის სავსებით განაწილება და ღვინო ცოტათი ტკბილი გემოსი რჩება. უკვე 0,01—0,02 ასიდანი ძმრის ჭანგი იმდენად ხელს უშლის ტკბილის დულილს, რომ იგი დონეზე აღარ სწარმოებს და, როგორც უკვე ვთქვით, 0,4 ასიდანი ძმრის ჭანგი ხომ სრულებით აყენებს დულილს.

ღვინის და ძმრის მცის გარდა ყურძენზე კიდევ ბევრი სხვა და სხვა ჯიშის სოკოები მოიპოვება, რომლებიც თავის მხრივ სცდილობენ მოწინააღმდეგეების ჯობნას და ტკბილის შაქრის თავისთვის გამოყენებას. ამათი მავნებლობა იმაში გამოიხატება, რომ ისინი ძმრის დედასავით ტკბილის შაქარს ჭშლიან არა ძალარად (ალკოპოლად, სპირტად) არამედ სხვა ღვინის დამაზიანებელ სხეულებად, და ღვინის დედას საშუალებას აღარ აძლევენ გამრავლებისას, რომ დულილმა ხეირიანად იწარმოვოს და რიგიანი ღვინო დადგეს. აქ ჩვენ ყველა მათ ჩამოთვლას არ შევუდგებით,—მათი რიცხვი საკმაოდ დიდია და შორს წაგვიყვანდა.

იმას კი ვიტყვით, რომ განსხვავება თვით ღვინის დედის ჯიშებშიც საკმაო მოიპოვება. ერთი მათგანი მეტს ძალარს (ალკოჰოლს) აჩენს, მეორე ნაკლებს; ერთს მეტი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიან, თუნდაც იმავ ძმრის დედისა, მეორეს ნაკლები; ერთს მეტი სითბოს ატანა შეუძლიან ვიდრე მეორეს და სხვ. ასე რომ ტკილის დადულებისათვის უმნიშვნელო არ იქნება გამოირჩეოდეს საუკეთესო თვისებების მქონი ღვინის დედა და მასზე დადულდებოდეს ტკბილი. მაგრამ ამის შესახებ ცალკე.

(გაგრძელება იქნება).

მიხ. შალამბერიძე.

ჩვენი ღვინოეგი და მისი გაზარი *)

ჩემ მოხსენების საგანს არ შეაღგენს ჩვენი ღვინის ქიმიურ შემადგენლობის ან მის დეტილურ თვისებებზე შეჩერება. მე შევეცდები გამოვარკვიო მისი ეკონომიური მნიშვნელობა ჩვენს მეურნეობაში, მისი შეფასება საეროაშორისო ბაზრის ფარგლებში და მისი, როგორც საექსპორტო ნაწარმოების, ღირებულება.

ღვინის ტიპის სხვა და სხვაობის მხრივ საქართველო არ არის მდიდარი. სულ ექვსი ან შვიდი დამახასიათებელი ტიპის ღვინო დგება ჩვენში. მათ შორის ღირსებითაც და რაოდენობითაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კახურ ღვინოს; და, თუ ღვინოზედ ვლაპარაკობთ, როგორც საექსპორტო საგანზედ, უნდა ვიგულისხმოთ კახური ღვინო. საქართველოს ყოველ წლიური საშუალო მოსავალი მეტად ცვალებადია, უფრო ცვალებადი ვიდრე სხვა

*) **მოხსენება წაკითხული მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიმე ქვეყანაში, ყოველ შემთხვევაში იგი იშვიათად აღემატება 6—7 მილიონ ვედროს. აქედან კახეთის წილად 3 - 4 მილიონი ვედრო გამოდის ყოველ-წლიურად ბაზარზედ, საშუალო მოსავლის დროს. ჩვენი ვენახების მოსავალი მეტად მცირეა და საშუალოდ იშვიათად აღემატება დესეტინაზე 200 ვედროს, ხოლო ისეთ უმოსავლო წელიწადში კი, როგორც მაგ. წელს იყო, საშუალოდ 100 ვედროს ძლივს მივიღებდით. (სახელმწიფო მამულმა მიიღო 300 დესეტინაზე—25,000 ვედრო, ანუ დაახლოვებით 83 ვედრო დესეტინაზედ). მაშინ, როდესაც განჯის რაიონში 700—800 ვედროს ანგარიშობს საშუალოდ, ხოლო ალჟირი და სამხრეთ საფრანგეთი—2000. რომ საქართველო საზოგადოდ ეკონომიურად მოღონიერებული იყოს და მყიდველობითი შესაძლებლობა მისი Покупательная способность) დაკმაყოფილებული იყვეს, პირდაპირ გაუგებრობა იქნებოდა ჩვენი ღვინის გარეშე ბაზარზედ გატანის ფიქრის კი. რომ ეს მოსაზრება ნათელი გავხადოთ საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე საყურადღებო ცნობა. საქართველოში სამ მილიონ-ნახევარ მცხოვრებზედ გვაქვს 65,000 დესეტინა ვენახი, რომელიც იძლევა არა-უმეტეს 7 მილიონ ვედრო ღვინისა ანუ მცხოვრებზედ 2 ვედროს წელიწადში, ესე იგი 32 ბოთლს, ისიც კარგს მოსავალიან წელს. ამავე დროს საფრანგეთში, რომლის ერთნახ. მილიონმა დესეტინა ვენახმა მასცა 1912 წ. 59,384000 ჰექ. ტოლიტრი ანუ 494,868092 ვედრო 40 მილიონ მცხოვრებლებზედ ე. ი., დაახლოვებით მცხოვრებზედ 12,5 ვედრო ღვინო მოდის რაც დაიჭერს ექვს 1-2 ჯერ მეტს, ვიდრე საქართველოს მცხოვრებს მოსდის.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ საფრანგეთმა სხვაგან გაყიდა სადმე თავისი მოსავალი! ეს ასე არ არის: საფრანგეთის ღვინის იმპორტი მუდამ აღემატება ექსპორტს. კერძოდ ამ 1912 წელს კი საფრანგეთმა უცხოეთიდან შეიტანა ღვინო 9243.000 ჰექტოლიტრი (77.025.000 ვედროს უდრის) გაიტანა კი უცხოეთში მხოლოდ 2. 060.000 ჰექტოლიტრი (17.165.000 ვედრო) შეტანილი ღვინო 60 მილიონ ვედრით აღემატება გატანილს, ამ რიგად: თითო ფრანგ მოქალაქეს შეუხვდა 1912 წელს თითქმის 14 ვედრო ღვინო და საფრანგეთის ეს წელიწადი ჩვეულებრივია. მოსავლის მხრივ. ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებს რომ ჩვენ გარედ ბაზარზედ გასატანი ღვინო სულაც არა გვაქვს და, თუ მაინც იძულებულნი ვიყავით გარეშე ბაზარი გვეძებნა, ამის მიზეზები მრავალია და შევეცდები მათ განმარტებას.

უმთავრესი მიზეზი ჩვენის ღვინის გარედ გატანისა არის საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობის სიღარიბე. საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს უმეტესად სრულიად უსაფუძვლოდ ზოგნი ლოთებად გვთვლიან, ღვინოს მარტო მცირე, პრივილეგიური ნაწილი, უმთავრესად ქალაქის მცხოვრებნი თუ სვამენ რეგულიარულად. სოფლის მცხოვებნი კი, და წარმოიდგინეთ თვითონ ის მცოვრებნი, რომელთაც ღვინო მოჰყავთ, ძალიან ცოტა და იშვიათად სვამენ ღვინოს. პატარა მევენახე მოიყვანს ცოტაოდენ მოსავალს, მიჰყიდის ხოლმე გაჭირვებული ეთბაშათ რომელიმე ჩარჩს და თვითონ კი რჩებათითქმის მთელი წლით უღვინოთ. უკეთეს შემთხვევაში იგი შეინახავს რამდენიმე ვედროს ერთ ქოცოში რომელიმე დღეობის ან რაიმე მოულოდნელ შემთხვევისთვის ერთი ორ ჯერ-სამჯერ იქნება მოასწროს დალევა ამ ღვინისა და დანარჩენ დროს კი სადმე დღიურად მუშაობის დროს თუ დაჭლევს ღვინოს, თორემ თითონ სულ არა აქვს. ძალიან ხშირად ვენახის პატრონი, როდესაც მას ზაფხულში სტუმარი მიუვა,—დუქანში მიდის ღვინისთვის ხელადით; მით უმეტეს ღვინის სმის საშუალებას მოკლებულია ხელმოკლე მხვნელ-მთესველი, რომელიც ძალიან იშვიათად თუ დაჭლევს ღვინოს. ამ რიგად, საერთო ეკონომიური ხელმოკლეობის გამო, საქართველოს სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის ღვინო წარმოადგენდა ერთგვარ იშვიათ ხილს. სულ სხვა მდგომარეობაშია ფრანგი, რომლის ბიუჯეტშიც ღვინოს ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც მაგ. პურს ან სხვა რომელიმე პირველ მოთხოვნილების საგანს, და იგი ღვინოს სვამს გამუდმებით, ათჯერ-ოცჯერ მეტს ვიდრე ჩვენი მევენახე, თუმცა მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვრალს ვერავინ ნახავთ. ამ აზრის დამამტკიცებელია ის გარემოებაც, რომ ამ უკანასკნელ წლებში, როდესაც ჩვენ ღვინოს გარეშე ბაზარი მთლად დაეხშო და თითქოს უნდა უდიდესი კრიზისი შექმნილიყო ღვინისა, (მიუხედავად იმისა რომ განჯის ღვინოებიც, რომელთაც უწინ უმთავრესად ჩრდილო-კავკასიისკენ ჰქონდათ გზა და ამ უკანასკნელ სამ წელიწადს კი განსაკუთრებით საქართველოს მოაწვენ, რადგან ერთადერთი ღია კარი აქეთ ჰქონდათ) მაშინ არამც თუ კრიზისი არ შექმნილა, პირიქით მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც კი გაძნელდა მიუხედავად დიდი ფასებისა. წინათ თუ ღვინოს მარტო ქალაქი სვამდა, ეხლა პირიქით უმთავრესი მომხმარებელი სოფელია. სხვა დროს თითო-ოროლა ბოთლობით თუ გაიგზავნებოდა თბილისიდან ღვინო, მაგალითად გორის მაზრაში ან დასავლეთ საქართველოში. ამ უკანასკნელ ორ წელს კი ათეული ვაგონები იგზავნებოდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში (მცხეთიდან მოხევეებში, გორში, ქარელში და დასავლეთ საქართველოს პროვინციებში). ეს იქიდან წარმოსდგა, რომ ჩვენი სოფლის მეიდველობითმა შეძლებამ აიწია და სოფლად დაგროვილი ფული, სხვაში რომ არაფერში იხარჯება, ღვინოს ხელგაშლილად ყიდულობს. ასე რომ ჩვენ მოსავალს ადგილობრივვე ვასაღებთ. ამ მოსაზრების დამამტკიცებელია, უნდ ის გარემოება, რომ სახელმწიფო სარდაფების ღვინო, რომელიც წინეთ განსაკუთრებით სამხრეთ რუსეთში იგზავნებოდა, დღეს დაპყრობილ ბაზარს თავს ანებებს და თბილისში ადგილობრივ სირაჩხანის კონკურენციას შესდგომია, ალბად უნდა თბილისის მცხვრებს გემოვნება გაუფაქიზოს და „მწკლარტე ქახური ღვინის მაგიერ ევროპიულად დამუშავებულ ღვინოს შეაჩვიოს.

რასაკვირველია ასეთი მდგომარეობა დროებითი—შემთხვევითია და დამყარდება თუ არა წესიერი მიმოსვლა გზაზედ, მოწესრიგდება თუ არა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობა, ძველი მდგომარეობა შემობრუნდება და ჩვენი ადგილობრივი მომხმარებელი ღვინისა ვერ შესძლებს გაუწიოს კონკურენცია უცხო მომხმარებელს და ჩვენ საშუალება მოგვეცემა გავიდეთ უცხო-ბაზარზედ ჩვენი საქონლით. თუ საზოგადოდ ამ საქმეს მოგვარება ჩვენ როგორმე მოვახერხეთ და ნაწარმოები როგორც გემოვნების ისე სავაჭრო აპარატის მოწყობის მხრივ მომხმარებელს დაუახლოვეთ ჩვენი ნაწარმოების გასაღება არას დროს არ დაბრკოლდება, რადგან მთელს ქვეყნაზედ მხოლოდ ოთხი ხუთი სახელმწიფოა (ისპანეთი, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი), რომელთა ღვინის ექსპორტი აღემატება იმპორტს, ხოლო ყველა დანარჩენი ქვეყნები დიდი მასშტაბით ყიდულობს ღვინოს. ჩვენთვის საუკეთესო ბაზრად ღვინის გასაღებისათვის უნდა ჩაითვალოს რუსეთი. აქ ძველ რუსეთის საზღვარებში 200 მილ. მკხოვრებზედ 30—40 მილიონი ვედრო მიდიოდა წლიურად ანუ მცხოვრებზედ არა უმეტეს 3 ბოთლისა და მთელი კავკასია რომ სულ გაბმულ ვენახებად იქცეს, მაშინაც ვერ დააკმაყოფილებს რუსეთის მოთხოვნილებას, რომლის წლიური იმპორტი შესამჩნევად იზრდებოდა სისტემატიურად. მით უფრო ხელსაყრელია რუსეთთან დამოკიდებულება ღვინის ვაჭრობის მხრივ, რომ იქ უკვე რამდენადმე ცნობილი და სახელ მოხვეჭილია ჩვენი ღვინო და მომხმარებელიც მიჩვეული. საბადლო საქონლის შემოტანის მხრივაც, პირით მდიდარ-სამხრეთი რუსეთი ჩვენთვის ხელსაყრელია. ასე რომ ვენახების სიმრავლის შიში ჩვენ სრულიად არ უნდა გვაწუხებდეს. სერიოზულ მეტოქეობას ჩვენ ღვინოს განჯის ღვინოები უწევენ, რომელნიც ბევრად ნაკლებ ჯდებიან შემდეგი მიზეზით:

1. მოსავალი ადგილ-ზეადაგის სიმდიდრის და სიპოხიერის წყალობით დიდი იცს (1500 2000 ვედრომდე, საშუალოდ კი 700—800 ვედ.)

2. ვენახები თითქმის სულ სარწყავია და გვალვისა ამიტომ არ ეშინიათ.

3. სეტყვა არ იცის.

4. იქაური ჯიშები ნაკლები ღირსებისა არიან, ვიდრე ჩვენი მწვანე საფერავ-რქაწითელი და სოკოს აკადმყოფობაც მათ ნაკლებ ერევათ.

5. განჯაში არიან შედარებით მსხვილი მევენახეები, რაც შესამჩნევად ამცირებს დამუშავების ხარჯს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. განჯის მარნები ტეხნიკურად საუკეთესოდ არიან მოწყობილნი, რაც ღვინის ხარჯსაც ამცირებს და გაყიდვასაც აადვილებს.

სამაგიეროდ განჯის ღვინო ღირსებით ბევრათ დაბლა სდგას ჩვენს ღვინოებზე და ამიტომაცაა, რომ ერთ მილიონამდე ვედრო განჯის ღვინისა თბილისში ყოველ წელიწადს კახეთის ღვინის სახელით იყიდება, რადგან იგი ერთი ორად და ერთი სამად ნაკლები ღირს. უმთავრეს ღირსებად ჩვენი ღვინოებისა ბაზრის თვალთსაზრით უნდა ჩაითვალოს ალკოჰოლის (სპირტის) და სიმჟავის ჰარმონიული შეზავება, რაც შესაძლებლად ჰხდის მის მორს გაგზავნას. მისი სიმაგრე საშუალოდ 12° გარშემო ტრიალებს მაშინ როდესაც საფრამგეთის 1912 წლის მოსავლიდან (59,384,171 ჰექტოლ.) 52,519.776 ჰექტოლიტრი ანუ 88 პრ. ათს გრადუსზე ნაკლები იყო; 5,681,385 ჰექტ. ანუ 8 %. ათიდან თერთმეტამდე და მხოლოდ 2,183.000 ჰექტ. ანუ 4%-11 გრადუსზე ზევით. განჯის ღვინოც სამაგრით და ისე სხვა ღირსებით ბევრად ნაკლებია ჩვენს ღვინოზედ და წინეთ რომ განჯის ღვინის შემოშვება საქართველოში აქაურ მევენახეთ ძლიერ გვაფიქრებდა, ეხლა შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს შიში უსაფუძვლოა, თუ რა თქმა უნდა ამ საკითხის კანონმდებლობის მხრივ და ჩვენი ღვინის უცხოეთში (რადგან განჯური ღვინო ტრანსპორტს ვერ იტანს ჩვენ ღვინოსთან შედარებით) გატანის მოწესრიგებით უზრუნველყოფთ ჩვენს წარმოებას.

პირიქით, რადგან ჩვენში შესაძლოა ღვინის მოთხოვნილებამ იმატოს ომის წინა ხანებთან შედარებით და ჩვენ კი საკმარი მოსავალი არა გვაქვს, ჩვენ შეგვიძლია ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უფრო ნაკლებ ფასიანი განჯის ღვინო გამოვიყენოთ, ხოლო ჩვენ ღვინოს ექსპერტის დანიშნულება მივსცეთ, როგორც აკეთებს საფრანგეთი ალჟიროს ღვინოებით.

თუ მიუხედავათ ამ გარემოებისა, წინეთ ხშირად, ცოტად თუ ბევრად უხვ მოსავალში ჩვენში ღვინის ფასი ძლიერ ეცემოდა და გაყიდვა ძლიერ ჭირდებოდა, ეს იმიტომ კი არა, რომ ღვინის გატანა შეუძლებელი იყო, არამედ იმიტომ, რომ კახეთის და საზოგადოდ საქართველოს მეღვინეობა ჯერ სულ პრიმიტიულ ნოეს დროინდელ წესით სწარმოებს: ყურძენი ფეხით იწურება; ღვინო ინახება ახდილ ცის ქვეშ ჩაყრილ ქვევრებში; ხშირად საკმარისი ჭურჭელიც არ მოიძებნება. მევენახე სრულიად მოსპობილია საშუალებას ამ პირობებში ღხინო შეინახოს, ,,თავი დაუჭიროს'' და რიგიან ფასს მოუცადოს. თუნდ ჭურჭელიც ჰქონდეს მას ხელმოკლეობა და დავალიანება აიძულებს რაც შეიძლება ძალე მოიშოროს მოსავალი და ნახევრად მაინც დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება. ამასთან სრულიად არ შემოდიოდა ჩვენში უცხო ვაჭარი, უცხო კაპიტალი და მთელი კახეთის მოსავალი უმთავრესად სირაჩანის მინაბრებული იყო. ამიტომ ღვინის გამყიდავთა შორის იქმნებოდა კონკურენცია და ღვინო პირდაპირ ჩალის ფასად მიდიოდა. მეღვინეთა კრიზისის მიზეზი ისიც არის, რომ ჩვენებური წესით დამზადებულ ღვინოს გარეშე მომხმარებელი სრულიად არ ეტანება, ჩვენი ღვინის დალევა მას უმძიმს და უფრო ნაკლებ მწკლარტე ღვინოებს ეტანებიან, რომელნიც მართალია ღირსებით ბევრათ ნაკლებნი არიან, მაგრამ სასიამოვნო და ადვილი სასმელია. და თუ ჩვენ გვინდა გარეშე ბაზარზედ გასვლა ჩვენი ნაწარმოებით, აუცილებლად იძულებულნი ვიქნებით ამ გარემოებას ანგარიში გაუწიოთ და ჩვენი წესი ღვინის დამუშავებისა შევცვალოთ მომხმარებელის გემოვნებაზე.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღევანდლამდე ჩვენში ამ მხრივ არაფელი გაკეთებულა. ჩვენი ღვინის ტიპის გადამუშავება სრულიად არ სწარმოებს. ამ მხრივ არც სახელმწიფო მამულს გაუკეთებია რამე. მან კახეთში გააშენა ვაზები, პირველათვე მოიწვია ფრანგის სპეციალისტები, რომელთაც საფრანგეთის ვაზის ჯიშები გადმოიტანეს მწვანე—საფერავის ქვეყანაში და შეუდგნენ კახეთში ფრანგულ მეღვინეობის შაბლონურად წარმოებას. ადგილობრივი ვაზითაც კი საკმაო ვენახები გააშენეს მაგრამ საფერავსაც კაბერნეს წესით დაუწყეს მორჯულება და მეავე ყურძნის მოკრეფა, ხოლო ადგილობრივი ჯიშების ადგილობრივ ტიპის გაუმჯობესებაზედ მათ სულ არ უფიქრიათ. რა თქმა უნდა ამ პირობებში თავის განსაკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ თვისებებას ჩვენებური ჯიშები სულ ვერ გამოიჩენდნენ. დღესაც ჩვენში ორი წესია ღვინის დამუშავებისა: ან ძველი იდგილობრივი, ან ახალი „გაევროპიელებული". ხოლო მათ-შორის ჩვენი ჯიშებისთვის უფრო შესაფერი, ჯერ არ არის დამუშავებული.

არსებობს ერთგვარი ნახევრად ევროპიული ტიპი კახური ღვინისა ძმ. ვერმიშევების და ჯანდიერის ფირმის, წოდებული „По особому заказу", რომელიც მომხმარებლებს მრსწონს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბატ. ვერმიშევს არა აქვს ხელსაწყო პირობები, რომ ამ ტიპის ღვინის ღირსება მაქსიმუმამდე აეყვანა. ყოველ შემთხვევაში ეს ცდა მეტად სასიამოვნოა და წასაბაძი, რომ გამოვიმუშაოთ ჩვენი საუკეთესო ჯიშებიდან ისეთი ნაწარმოები, რომელიც დააკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნილებას, თორემ ევროპიულად ღვინის დაყენება ჩვენთვის (თუნდაც იგი საუკეთესო იყვეს) შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში ოც-ოცდაათ წელიწადზე ადრე, რადგან ამისთვის საჭიროა მეღვინეობის ტეხნიკის განვითარება, მეტად ძვირ სარდაფის მეურნეობის მოწყობა (მანქანები ჭურჭელი, სარდაფები): და უმთავრესად კი კაპიტალი, რომელიც მოგვცემდეს საშუალებას მოსავლის ერთი და ორი წლით სარდაფში გაჩერებას. აქედან დასკვნა:

1. საქართველოს ყოველ წლიური სადღეისო ღვინის მოსავალი, თუ ქართველ მშრომელი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა, ოვით ქართველსაც არ ეყოფა.

2. საქართველოს საარსებო ინტერესი კი მოითხოვს გამოიყენოს ყოველივე სოფლის მაღალ ღირსების ნაწარმოები საექსპორტოთ გამოსადეგი, ამ შემთხვევაში უპირველესი მათ განი ღვინო. ამისათვის საჭიროა ღვინის მოსავლის გაათკეცება რაც დამოკიდებულია ვენახების დამუშავების ინტენსიფიკაციაზედ და ვენახების სივრცის ზრდაზე.

3. და რომ უზრუნველვჰყო ჩვენი ღვინის გარეშე ბაზარზედ გასაღება, საჭიროა დაუახლოვოთ ნაწარმოები მომხმარებლის გემოვნებას და მოთხოვნილებას.

4. ნაწარმოების გასაუმჯობესებლად საჭიროა: სპეციალური განათლება, მეღვინეობის ტეხნიკის გაუმჯობესება, წვრილ მევენახეთა შეკავშირება და ფართე სამელიორაციო კრედიტი.

გ. წინამძღვრიშვილი.

მევენახეთა ყრილობები კახეთში.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან რომ საბჭოს განზრახული ჰქონდა საქართველოს მევენახეობის ყველა კუთხეში მოეწყო მევენახეთა ყრილობები ამ დარგში წარმოშობილ სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვების გასაშუქებლად.

წარსულ 15—18 აპრილს ამგვარი ყრილობები უკვე შესდგა კახეთში ალაზანს გამოღმა მხარეს.

ყრილობა წინანდალში.

პირველი ყრილობა შესდგა 15 აპრილს დილით ს. წინანდლის სათემო სამმართველოს შენობაში. საბჭოს წევრებმა ჩოლაყაშვილმა და წინამძღვარიშვილმა გააკეთეს მოხსენება საზოგადოდ ჩვენი მევენახეობის გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ, აღნიშნეს აუცილებელი საჭიროება მევენახეთა შემაკავშირებელ სახელმწიფო უფლებებით აღჭურვილ მუდმივ ორგანიზაციის შექმნისა, რაც კრებამ სავსებით გაიზიარა. კრებამ დიდის ყურადღებით მოისმინა აგრეთვე მოხსენება მეღვინე-მევენახეთა საბჭოს მოქმედების შესახებ, ანგარიში მოიწონა და გამოსთქვა სურვილი შემდეგშიაც მტკიცედ დარაჯათ ედგეს საბჭო მეღვინე-მევენახეთა საჭიროებებს. ამის შემდეგ გაიმართა კამათი ადგილობრივ რაიონის საჭიროებებზედ. კამათის დროს გამოირკვა რომ რაიონი დიდათ ჰსაჭიროებს ვენახებში გასაბმელ მავთულს, რადგან ჭიგო ან სულ არ იშოვება და თუ იშოვება 15—20 ვერსის სიშორეზედ და ღერი უჯდება მევენახეს 2—2,50 მან. ამიტომ კრებამ დაავალა საბჭოს მომავალ წლისათვის ყოველივე ღონისძიება იყოს მიღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული მავთულის საკმარისი რაოდენობის შესაძენად.

კრებაზე გამოირკვა აგრეთვე, რომ ფილოქსერა რაიონში შესამჩნევად გავრცელებულა, მეტადრი გრძელ მინდვრის ვენახები მეტად დაზარალებულია. მაგრამ, მიუხედავად იმისა რომ კახეთის უძველესი კონდოლის სანერგე ამ რაიონშია, ამერიკულ საძირეზედ დამყნილი ვენახები მთელ 1500 დესეტინიდგან (სოფლები კონდოლი, წინანდალი, კისის ხევი, ქვ. ხრდაშენი და ბუშატი) სულ ათამდე დესეტინა ყოფილა.

ასე ცოტა ნამყენი ვენახები აიხსნება იმით რომ ჯერერთი თვით ხალხი დღევანდლამდე გულ-გრილად ეკიდებოდა ფილოქსერის საშიშროებას და, ამას გარდა, კონდოლის სანერგეს რაიონის მოთხოვნილების მეათედის დაკმაყოფილებაც არ შეულია, ამიტომ ყრილობამ გამოსთქვა სურვილი რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს დახმარებით და მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს ხელმძღვანელობით ამ რაიონში მოეწყოს უფრო ფართო სანერგე და ამ მიზნით სათემოს გადაეცეს ფონდში ჩარიცხულ მიწებიდგან სანერგისთვის საკმარი მამული.

დასასრულ, სრულიად საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოსთან მუდმივი ურთიერთობის დასაჭერად და ამასთანავე მეღვინეობა-მევენახეობის ზოგიერთ ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხთა გასაძღოლად ყრილობამ, საჭიროდ სცნო დაეარსებინა მევენახეობის სარაიონო საბჭო. რომელშიაც აირჩიეს წინანდლის შემნ.-გამსესხ. ამხ. გამგეობის თავმჯდომარე.—წინანდლის თემის გამგეობის თავმჯდომარე მევენახე ვ. ბერეჟიანი და მევენახეთა წარმომადგენელი მეურნე.

საბჭოს წევრებმა სთხოვეს ყრილობაზედ დამსწრეთ მტკიცე ურთიერთობის შესაქმნელად—ყველამ მონაწილეობა მიიღოს საბჭოს ორგანოს „ვაზი და ღვინოს“ გავრცელებაში და თანამშრომლობაში. აღმოჩნდა რომ წინანდლის შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობა იღებს ჟურნალის ყველა ნომრებს ათ-ათ ცალს და ავრცელებს ხალხში.

თათბირი თელავში.

იმავ საღ. 5 ს. (ხუთშაბათს, 15 აპრილს) თათბირი შესდგა ქ. თელავში ადგილობრივ მუშათა კლუბის დარბაზში. თათბირზედ წინასწარ მოწვეულნი იყვნენ სამაზრო ერობის, კახეთის კოოპერატივთა კავშირის, ქალაქის თვითმართველობის, თელავის შემნ.-გამსესხებ. ამხანაგობის, ქალაქის ღვინის მოვაჭრეთა და სხ. წარმომადგენლები და თელავში მცხოვრები მევენახენი. თათბირი გაიხსნა ან. ყაზახაშვილის თავმჯდომარეობით და ბ. კაკულიას მდივნობით. საბჭოს წევრებმა წინამძღვრიშვილმა და ჩოლაყაშვილმა გააკეთეს მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ და წარუდგინეს თათბირს საკამათოთ მეღვინე-მეღვინეთა ყრილობის, როგორც მუდმივი ორგანოს, დებულების პროექტის უმთავრესი საფუძვლები პროექტით ორგანიზაცია წააგავს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანისაციას და გულისხმობს მეღვინე-მევენახეთა პალატას სახელმწიფო უფლებებით აღჭურვილს. კამათი გამოიწვია ყრილობის შემადგენლობის საკითხმა. სრულიად საქარ. მეღვინე-მევენახეთა პროექტით ყრილობაზედ უნდა იყოს წარმომადგენლობა არა კერძო პირთა, არამედ მევენახეთა სოფლის ან რაიონის ორგანიზაციებისა. მაგრამ ვინაიდგან ცალკე ახალი ორგანიზაციის შექმნა სოფ-

ლად დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, პროექტი გულისხმობს მევენახეობის რაიონების თემთა, საკრედიტო და სპეციალურ კოოპერატივთა, სამაზრო ერობათა და სამაზრო კოოპერატიულ კავშირთა, ერობათა ცენტრის და ქალაქთა და ღვინით ვაჭართა წარმომადგენლობას.

თათბირზედ ზოგი შეუძლებლად სცნობდა ასეთ ორგანიზაციის შექმნას და მოითხოვდა უსათუოდ ეხლავე ცალკე, დამოუკიდებელ, მევენახეთა ორგანიზაციების მოწყობას რაიონებში ხოლო მათ წარმომადგენებიდან ყრილობის შედგენას. მაგრამ ხმის უმეტესობით თათბირმა უმჯობესად სცნო ჯერჯერობით ყრილობათა ორგანიზაციის გასაადვილებლად საბჭოს მიერ წარმოდგენილ პროეკტით ხელმძღვანელობა.

თათბირზედ მევენახეთა ადგილობრივი საბჭოს არჩევა მოუხერხებელი აღმოჩნდა თითბირის მცირე-რიცხოვანობის მიზეზით.

დასასრულ თითბირმა მოისმინა თელაველ ღვინის მოვაჭრეთა ჯგუფის განცხადება-საჩივარი ქალაქის თვითმმართველობაზედ, რომელსაც სატრახტირო გადასახადი უკანონოთ შეუწერია ისეთ ღვინით მოვაჭრეებისთვისაც, ოომელთაც სამზარეულო არაა ქთვთ საწყობთან, საჭმელებს არ ჰყიდიან და მხოლოდ ღვინით ვაჭრობენ. რადგან თვითმმართველობის ასეთი განკარგულება სრულიად ეწინააღმდეგება კანონს, საბჭოს წარმომადგენლებმა ურჩიეს დაზარალებულთ საქმისათვის მიეცათ კანონიერი მსვლეობა, ხოლო საბჭოს მხრივ აუთქვეს შესაფერი დახმარების აღმოჩენა.

(გაგრძელება იქნება).

გ. წ.

საბჭოს მოქმედება

მკითხველებს მოეხსენებათ რომ საბჭომ აღძრა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა უცხოეთში გასატან ღვინოზედ და ჭურჭელზედ მოეხსნათ საწინდარის (გიროს) აღება, რის შედეგათაც ღვინოზედ საწინდრის გადახდევინება მოისპო. რაც შეეხება ხის ჭურჭელს დღევანდლამდე ახდევინებდენ საწინდარ ვადროზედ 40 მანეთს მიუხედავად ... ფინანსთა სამინისტრომ ჯერ კიდევ 24 მარტს შეუთვალა მომარაგების სამინისტროს საწინდარის გადახდევინება მოესპოთ.

საბჭოს დაჟინებით მოთხოვნის შედეგ მომარაგების სამინისტრომ მხოლოდ 27 აპრილს მოიყვანა სისრულეში ერთი თვის განმავლობაში უმოძრაოთ დატოვებული განკარგულება.

ამრიგათ როგორც ღვინის ისე ხის ჭურჭლის უცხოეთში გატანა განთავისუფლებულია ყოველივე საწინდარისაგან.

— საბჭომ ორჯელ მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს შუამდგომლობით, რომ მთავრობის ხელში დარჩომილი შაბიამან-გოგირდი ასე ძვირად არ გაეძვირებინათ (ჯერ 400 მანეთათ იყიდებოდა ფუთი შაბიამანი ხოლო შემდეგ 700 მან. გახადეს, გოგირდი კი 660 მან.). მთავრობის თავმჯდომარე შეჰპირდა საბჭოს შესაფერ ღონისძიების მიღებას მაგრამ ფასის დაკლების მაგიერ ერობამ 25 აპრილიდან ხელახლათ მოუმატა ფასები შაბიამანს 50 მან. გოგირდს კი 40 მან.

მთავრობის ,,ღონისძიებანი'' კი ჯერ არსად სჩანს და მევენახეს ყოველ დღე ახალ-ახალი ხარჯები ემატება.

— კახელ მევენახეთა ა-ბა ,,კახეთმა'' გადასწყვიტა ყურძნის ჭიასთან საბრძოლველათ დახმარება აღმოუჩინოს მევენახეთ, რის გამოც გადასდო 20,000 მან. საბჭოს განკარგულებაში, რომელმაც უნდა მოაწყოს ამ ძავნე მწერთან ბრძოლა. საბჭომ დაადგინა მოიწვიოს ამ საქმის გასაძღოლათ ა. ი. ბაშიძე, რომელსაც დაეკისრება ზაფხულის განმავლობაში კახეთში ყოფნა და ბრძოლის წარმოების ხელმძღვანელობა.

,,ვაზი და ღვინოს'' მკითხველს.

რადგან ბაქოში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალების გამო ადერბეიჯანმა ჩვენდამი მტრული მოქმედება დაიწყო და ჩვენში ამის გამო გამოცხადებულ ლაშქრობის გამო მრავალი ასოთამწყობი იქმნა ჯარში გაწვეული, ამიტომ ეს მე-6 ნომერი თავის დროზე ვერ გამოვიდა და შესაძლებელია მორიგმა მე-7-დე ნომერმაც მოიგვიანოს.

რედაქცია.

76/1

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოოპერატიული საზოგადოება

„კახეთი“

საზოგადოება „კახეთი“ არსებობს 1895 წლიდან და ამ ჟამად 246 მევნახე ითვლება წევრად. საზოგადოება „კახეთი“-ს წევრობა შეუძლიან ყველა კახელ მევენახეს და აგრეთვე ყველა მას, ვინც-კი ჩაბარებს საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს ყოველ წლივ.

მთავარი კონტორა საზოგადოება „კახეთი“-ს მოთავსებულია თბილისში, დამფუძნებელ კრების ქუჩა № 5, ტელეფონი № 13—23, ხოლო სარდაფი-კი გოგოლის ქუჩაზე № 63, საკუთარ შენობაში. ტელეგრაფით მისამართი: თბილისი კახეთი.

საზოგადოება „კახეთი“-ს მთავარი საწყობები კახეთში ორ ალაგას არის მოწყობილი: თელავში „კახეთი“-ს ბიურო ალექსანდრე მაყაშვილთან და კარდანახში, „კახეთი“-ს ბიურო ნიკოლოზ დარაშვილთან.

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.

ეროვნული
ბიბლიოთეკა